

ფილოსოფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N8

თბილისი, 5 ივლისი, 2021

ფილოსოფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლის საჯარო განხილვის სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები:

- **თამარ ცოფურაშვილი** - ფილოსოფიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- **ნინო თომაშვილი** - ფილოსოფიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს მდივანი;
- **ლალი ზაქარაძე** - ფილოსოფიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
- **ქეთევან ცხვარიაშვილი** - ფილოსოფიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი - საბჭოს წევრი;
- **მაკა ლაშხია** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ფილოსოფიის მიმართულებით, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **საბჭოს წევრი**;
- **დემური ჯალაღონია** - ფილოსოფიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
- **მიხეილ გოგატიშვილი** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი - საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

ქეთევან ფანჩულიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი;

ნინო გოგლიჩიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 20:00 სთ-ზე. კვალიფიკაციების სამმართველოს სპეციალისტი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 8 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 7 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ცოფურაშვილმა წარადგინა სხდომის დღის წესრიგი, კერძოდ დარგობრივი მახასიათებლის შესახებ საბჭოს წევრების შენიშვნებისა და მოსაზრებების განხილვა.

მოისმინეს:

1. ლალი ზაქარაძის წინადადება დარგობრივი მახასიათებლის შესავლის თავიდან პრეამბულის ცალკე ქვეთავად გადატანის შესახებ, რადგან პრეამბულას არ აქვს იურიდიული ძალა და წარმოადგენს დოკუმენტის წინათქმას, აჯობებს განთავსდეს შესავლის ქვეთავამდე.
2. თავმჯდომარის წინადადება სწავლის სფეროს აღწერის 1-ლი აბზაცის სტილისტურად გამართვასთან დაკავშირებით, მისი აზრით, ფორმულირება, „ამ მიმართულებებმა თანდათანობით დამოუკიდებელი ცოდნის სახეც კი შეიძინეს და ფილოსოფიური ცოდნის ძირითადი სტრუქტურა განაპირობეს (ასე მაგალითად: მეტაფიზიკა/ონტოლოგია, ეპისტემოლოგია/გნოსეოლოგია, სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, ეთიკა, ესთეტიკა, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, აქსიოლოგია სამართლის ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია, ლოგიკა და სხვა).“ უნდა ჩასწორდეს შემდეგი ფორმულირებით: „ამ მიმართულებებმა თანდათანობით დამოუკიდებელი ცოდნის სახეც კი შეიძინა და ფილოსოფიური ცოდნის ძირითადი სტრუქტურა განაპირობა (ასე მაგალითად: მეტაფიზიკა/ონტოლოგია, ეპისტემოლოგია/გნოსეოლოგია, სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, ეთიკა, ესთეტიკა, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, აქსიოლოგია სამართლის ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია, ლოგიკა და სხვა).“ ლალი ზაქარაძის მოსაზრებით, აღნიშნული გემოვნების საკითხია და სტილისტურად არსებული ფორმაც გამართულია, მისი წინადადებაა დაბრუნდეს ფორმულირება რომელიც წინა სხდომაზე ჩასწორდა. ამავე აბზაცთან დაკავშირებით დემურ ჯალაღონიას თქმით, არსებულ ფორმულირებაში: „ფილოსოფიური ცოდნის არე უაღრესად ფართოა და მისი ინტეგრირება შესაძლებელია ცოდნის ყველა დარგთან. ფილოსოფიაში - საუკუნეების განმავლობაში - დაგროვდა იმ ტიპის ცოდნა, რომელიც

უზრუნველყოფს სამყაროს, ადამიანის, საზოგადოების და სულიერების შესახებ მყარი ფილოსოფიური და ინტერდისციპლინური დისკურსების კონსტრუირებას, რის შედეგადაც - ეპისტემოლოგიური და სხვა პრობლემების განცალკევების კვალდაკვალ - ფილოსოფიური ცოდნის სხვადასხვა მიმართულებებით აკუმულაცია მოხდა.“ ჩამონათვალთან გამორჩენილია „ღმერთი“. მისი თქმით, აღნიშნული ფორმულირების დამატებაზე საბჭო წინა სხდომებზე შეთანხმდა, აღნიშნულს დაეთანხმა მიხეილ გოგატიშვილი. მისი თქმით, ეს ცნება უცხოურ დარგობრივ მახასიათებლებშიც არის მითითებული. თამარ ცოფურაშვილი დაეთანხმა აბზაცში მოცემულს ჩამონათვალში „ღმერთის“ დამატებას, მაგრამ მისი თქმით აუცილებელია ამოღებულ იქნას სულიერება, რადგან მისი თქმით ღმერთის და სულიერების ცნება გარკვეულწილად ურთიერთგადამფარავია და უცხოენოვან სახელმძღვანელო დოკუმენტებში „spirituality“-ს ცნება არ არის ნახსენები, მისი შინაარსი შესაძლებელია მკითხველის მიერაც არასწორად იქნეს ამოკითხული და გაგებულ იქნეს როგორც მისტიკურ-სულიერი პრაქტიკა ან რაიმე სხვა. ამასთან „ღმერთისა“ და „სულიერების“ ერთ ჩამონათვალში გამოყენება გამოდის უფრო თეოლოგიური ინტენციების მქონე ფორმულირება, ამიტომ ჩამონათვალში ერთ-ერთი მათგანი უნდა დარჩეს. მიხეილ გოგატიშვილი კატეგორიულად არ დაეთანხმა ფორმულირებიდან „სულიერების“ ამოღებას მისი თქმით აღნიშნული ფორმულირება არ მიუთითებს ფილოსოფიის დარგების თეოლოგიურ შინაარსზე და „ღმერთთან“ ერთად „სულიერებაც“ უნდა დარჩეს ჩამონათვალში, ის არგუმენტი რომ „spirituality“ არ არის ნახსენები სხვა დარგობრივ მახასიათებლებში არ გამოდგება რადგან გაუგებარია, ჩამონათვალში აღნიშნული ცნების დატოვება რა უარყოფით შედეგებს გამოიწვევს. აღნიშნულს გამოეხმაურა ლალი ზაქარაძე. მისი თქმით, გაუგებარია აღნიშნული რატომ გახდა დავის საგანი და რატომ იქნება შეცდომა არსებულ ჩამონათვალში დარჩეს „სულიერებაც“, რადგან დარგთან არ არის მიმართებაში და დისკურსების კონსტრუირებაა. თამარ ცოფურაშვილის თქმით, ღმერთის შესახებ დისკურსები რომ შემოდის ფილოსოფიურ დისციპლინაში, ეს არ არის საკამათო, მაგრამ აღნიშნული წარმოადგენს ფილოსოფიური დისციპლინის ფილოსოფიური ცოდნის არეს თეოლოგიურ ჭრილში მოხაზვას.

საბჭოს წევრის მაკა ლაშხიას მოსაზრებით, მან გადაამოწმა ფილოსოფიის ინგლისური სტანდარტი, და თუ ეს ფორმულირება საკამათოა აჯობებს სულიერების ნაცვლად ინგლისურენოვანი ვერსიის ანალოგიურად, ჩაემატოს მიზეზ-შედეგობრიობა, რაციონალურობა, თავისუფალი ნება, მშვენიერების გაგება და ა.შ. - აღნიშნულს დაეთანხმა თამარ ცოფურაშვილიც. მაკა ლაშხიას თქმით, ამ ჩამონათვალში ღმერთი და სულიერება თითქმის ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია, რასაც კატეგორიულად არ დაეთანხმნენ ლალი ზაქარაძე და მიხეილ გოგატიშვილი. მათი თქმით, ღმერთის შესახებ დისკუსიები და მსჯელობა სწორედ რელიგიის ფილოსოფიის კვლევის საგანია, მათი შემოთავაზებით ჩამონათვალი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „სამყაროს, ღმერთის, ადამიანის, საზოგადოებისა და სულიერების შესახებ“, რასაც არ

დაეთანხმნენ მაკა ლაშხია და თამარ ცოფურაშვილი. მათი თქმით, ამ ორი ცნებისთვის ადგილების შეცვლა არსებითად არ ცვლის არაფერს, და ჩამონათვალში ტერმინის „სულიერება“ დატოვებას გადავყავართ სხვა დარგში. მიხეილ გოგატიშვილის აზრით, სულიერება ფილოსოფიასა და თეოლოგიაში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული. მაკა ლაშხიას წინადადებით, ტერმინი „სულიერება“ უნდა ჩანაცვლდეს „ღირებულებებით“. მიხეილ გოგატიშვილის აზრით, ტერმინი „სულიერების“ მხოლოდ თეოლოგიურ ჭრილში მოქცევა არ არის მართებული, რადგან კომუნისტური მმართველობის პერიოდშიც კი, მძიმე ათეისტურ დროს ტერმინი „სულიერება“ გამოყენებული იყო სხვადასხვა ფილოსოფიურ ტექსტებში და არ უკავშირდებოდა თეოლოგიურ გაგებას. დემურ ჯალაღონიას აზრით, ღმერთის ცნება არის თეოლოგიურიც და ამასთანავე არის ფილოსოფიურიც, გააჩნია რას იკვლევს ფილოსოფოსი.

თამარ ცოფურაშვილის თქმით, დოკუმენტისთვის მაქსიმალურად კონვენციური ფორმულირებები უნდა იქნეს შერჩეული, რათა შინაარსი არ იძლეოდეს ინტერპრეტირების საფუძველს. აღნიშნული ქვეთავის ავტორის, მიხეილ გოგატიშვილის, მიერ გადმოგზავნილი პირვანდელი ჩანაწერის გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ პირვანდელ ჩამონათვალში არ იყო მითითებული „ღმერთი“, ამასთან საბჭოს 31 მაისის სხდომების ოქმის N5, დანართის თანახმად, რომელსაც დანართის სახით ერთვის დარგობრივი მახასიათებლის იმჟამინდელი პროექტის ვერსია მითითებულია შემდეგი ფორმულირება: „ფილოსოფიაში - საუკუნეების განმავლობაში - დაგროვდა იმ ტიპის ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს სამყაროს, ადამიანის, საზოგადოების და სულიერების შესახებ მყარი ინტერდისციპლინური კონტექსტების კონსტრუირებას, რის შედეგადაც - ეპისტემოლოგიური პრობლემების განცალკევების კვალდაკვალ - ფილოსოფიური ცოდნის სხვადასხვა მიმართულებებით აკუმულაცია მოხდა“, სადაც ფორმულირებაში ნახსენები არ არის „ღმერთი“.

თამარ ცოფურაშვილის განმარტებით, ვინაიდან დოკუმენტში საბჭოს წევრები განსაზღვრავენ ფილოსოფიური ცოდნის არეალს, ტერმინი „სულიერების“ დატოვება არის უფრო თეოლოგიური კონოტაცია, რაც სცდება ფილოსოფიის სივრცეს ამიტომ ამოღებულ უნდა იქნეს და ჩანაცვლდეს „ღირებულებებით“, რომლის შესახებაც კამათი არის ფილოსოფიისთვის გამჭოლი, და ფორმულირება უფრო მეტად იქნება ქართული ფილოსოფიური ტრადიციის შესაბამისიც.

საბჭოს წევრის, ლალი ზაქარაძის აზრით, რადგან უკვე მრავალგზის გავლილ თავებზე საბჭოს წევრებს კიდევ უჩნდებათ მოსაზრებები, აუცილებელია მეტი დრო დოკუმენტის შესამუშავებლად და საბჭო უნდა დაუბრუნდეს ქვეთავების შესახებ დისკუსიის რეჟიმს, და მისი აზრით დოკუმენტის დამტკიცება წინამდებარე სხდომაზე შეუძლებელია. დემურ ჯალაღონიას წინადადებით, რადგან საკითხის შესახებ არ არსებობს კონსენსუსი საბჭოს წევრებს შორის, აჯობებს საკითხი საბჭოს თავმჯდომარემ დააყენოს კენჭისყრაზე. აღნიშნულს არ დაეთანხმა მაკა ლაშხია, მისი თქმით კენჭის ყრას არ აქვს აზრი ისინი (მაკა ლაშხია და თამარ ცოფურაშვილი) არიან ერთ მხარეს და საბჭოს დანარჩენი წევრები მეორე მხარეს, ამიტომ აჯობებს საბჭოს თავმჯდომარემ

მიიღოს გადაწყვეტილება დოკუმენტი ამ ფორმით დამტკიცდება თუ არა. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო გოგლიჩიძემ, გააკეთა განმარტება. მისი თქმით, საბჭოს წევრებს დაეგზავნათ „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი“, რომელშიც ნათქვამია, რომ „საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით და გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა/სხდომისაზე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში, გადაწყვეტი ხმის უფლება აქვს საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს.“

3. საბჭომ იმსჯელა სწავლის შედეგების ქვეთავში, ბაკალავრიატის სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების 1-ლი და მე-2 პუნქტის გაერთიანების შესახებ, რადგან შინაარსობრივად ორივე შედეგი ცოდნის დემონსტრირებაზე იყო ორიენტირებული საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია სწავლის შედეგების გაერთიანება.
4. თამარ ცოფურაშვილის წინადადება ბაკალავრიატის სწავლის შედეგების უნარის კომპონენტის შემდეგი პუნქტის: „დარგის სამეცნიერო სიახლეების გაცნობისთვის იყენებს საბიბლიოთეკო რესურსებს და ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ქმნის კვლევით ნაშრომს“ შესახებ. მისი თქმით, აღნიშნული ფორმულირება უნდა დაუახლოვდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში არსებულ ფორმულირებას, და უნდა ჩანდეს, რომ ამ ნაშრომს ქმნის წინასწარ განსაზღვრული მითითებებით. მაკა ლაშხიასა და ლალი ზაქარაძის აზრით, ამ სწავლის შედეგში გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ყველა პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომი არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი კომპონენტი.
5. თამარ ცოფურაშვილის წინადადებით უნდა გადაიხედოს ბაკალავრიატის სწავლის შედეგების პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპონენტში მოცემული ფორმულირებები: „ეფუძნება პლურალისტურ საზოგადოებაში თანაცხოვრებისთვის საჭირო ღირებულებებსა და ორიენტირებს, ტოლერანტულია განსხვავებული აზრის მიმართ; მოქმედებს აკადემიური და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით; ავითარებს საკუთარ ცოდნას, უწყვეტი განათლების პრინციპის დაცვით.“ მისი თქმით, აქ მითითებული შედეგები უნდა იყოს მაქსიმალურად გაზომვადი, აღნიშნული ბუნებრივია არ გამორიცხავს სტუდენტებისთვის ინტერპერსონალური ან სხვა სახის უნარების გამომუშავებასაც, მაგრამ სწავლის შედეგებში უნდა განისაზღვროს გაზომვადი სწავლის შედეგები. ამასთან არსებული ფორმულირებიდან სასურველი ამოღებულ იქნეს პროფესიული ეთიკა, რადგან მედიცინის ან იურისპოდენციის სფეროს წარმომადგენლების მსგავსად, ფილოსოფოსებს არ აქვთ სპეციფიური პროფესიული ეთიკა.
6. თამარ ცოფურაშვილის წინადადებით, სამაგისტრო საფეხურის პროგრამების შინაარსის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე სასურველია სწავლის შედეგებში

ასახოს, რომ შესაბამისი მიმართულებით ცოდნისა და უნარების დაუფლება დამოკიდებულია პროგრამის შინაარსზე, პროფილსა და მიზნებზე. მისი აზრით, წარმოდგენილი ფორმულირება „ფილოსოფიის მიმართულებით სამაგისტრო საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტი ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას: ფილოსოფიის ძირითად სფეროებში; ისტორიული და აწმყო დებატების შესახებ ძირითადი ფილოსოფიური დარგებიდან; ფილოსოფიური ტრადიციის ფუნდამენტური ტექსტების შესახებ ანტიკურობისა და მოდერნის ეპოქიდან - თანამედროვეობამდე, ასევე მათ შესახებ არსებულ სამეცნიერო დისკუსიას; თანამედროვე ფილოსოფიური მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების, ფილოსოფიის დარგის აქტუალური პრობლემების, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივი მეთოდებისა და ტენდენციების, აკადემიური პატიოსნების წესებისა და აკადემიური ეთიკის საკითხების შესახებ; ავლენს ფილოსოფიაში დიალექტიკური და სხვა მეთოდების ცოდნას საკვლევი ჰიპოთეზის შესაძლო კონტრარგუმენტების ფორმულირებით და მათი უარყოფით.“ უნდა შეიცვალოს. აღნიშნულზე მოსაზრებას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები დემურ ჯალაღონია, მიხეილ გოგატიშვილი, ლალი ზაქარაძე და მაკა ლაშხია. თამარ ცოფურაშვილის აზრით, ფორმულირებიდან „თანამედროვე ფილოსოფიური მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების, ფილოსოფიის დარგის აქტუალური პრობლემების, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივი მეთოდებისა და ტენდენციების, აკადემიური პატიოსნების წესებისა და აკადემიური ეთიკის საკითხების შესახებ;“ ამოღებულ უნდა იქნეს „აკადემიური პატიოსნების წესებისა და აკადემიური ეთიკის საკითხების“ რადგან მეორდება მაგისტრატურის სწავლის შედეგების სხვა კომპონენტებშიც.

7. თამარ ცოფურაშვილის მოსაზრებით, მაგისტრატურის საფეხურის უნარის კომპონენტში მოცემული 1-ლი და მე-2 პუნქტის ფორმულირება: „ახდენს ფილოსოფიურ რეფლექსიას თანამედროვეობის კულტურულ, სოციალურ-პოლიტიკურ, რელიგიურ და მეცნიერების საკითხებზე; ფილოსოფიურ ჭრილში განიხილავს თანამედროვე სოციალურ მოვლენებს, უსადაგებს მათ სხვადასხვა თეორიებს და შეძენილ ფილოსოფიურ ცოდნას იყენებს სხვადასხვა კონტექსტების გასაანალიზებლად“ შინაარსობრივად ერთი და იგივეა და დუბლირებაა. მისი აზრით, ან უნდა გაერთიანდეს ერთ შედეგად, ან უნდა დაკორექტირდეს. ამასთან რადგან მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს კვალიფიციურად მსჯელობა მეცნიერების საკითხებზე, აღნიშნული უნარი შესაბამისი კურსის ფარგლებში უნდა გამომუშავდეს, სხვაგვარად ამ სწავლის შედეგის შემოწმება შეუძლებელი იქნება, ამიტომ უფრო ზოგადი ფორმულირებით უნდა იყოს გადმოცემული. მისი აზრით, უნარის კომპონენტის მე-7 პუნქტში: „სიღრმისეულად აანალიზებს და განმარტავს ფილოსოფიურ თეორიას პროფესიულ დონეზე, სხვადასხვა თეორიების შეპირისპირების და ურთიერთკავშირის საფუძველზე“- უნდა ჩანაცვლდეს ფორმულირება „პროფესიულ დონეზე“, რადგან ამავე დონეზე განმარტავს დარგის პროფესორიც.

8. თამარ ცოფურაშვილის მოსაზრებით, მაგისტრატურის საფეხურის პასუხისმგებლობა ავტონომიურობის კომპონენტი: „პატივის სცემს აკადემიური ეთიკის სტანდარტებს, აკადემიურ ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, თანასწორობა, კომპეტენცია, გულისხმიერება და სხვ.) წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში; სამეცნიერო ნაშრომის მოსამზადებლად გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს ორიგინალურ მიდგომას; დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს პროფესიული და კარიერული განვითარების პროცესს“ აჯობებს ჩამოყალიბდეს უფრო ზოგადი ფორმულირებით და შედეგების აღსაწერად გამოყენებულ იქნეს შედარებით მარტივად გაზომვადი ფორმულირებები. აღნიშნულს გამოეხმაურა მაკა ლაშხიაძე. მისი თქმით, კარიერული განვითარების საკითხის შეფასება რთულია, რადგან ცალკეულ პროგრამაში აღნიშნულის შეფასების მექანიზმები ნაკლებადაა განვითარებული, და რთულია ამ კომპეტენციის შემოწმება.
9. თამარ ცოფურაშვილის მოსაზრებით, სწავლება-სწავლა შეფასების კომპონენტში მოცემული ფორმულირება „დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და მოდულები წინამდებარე დოკუმენტში აღნიშნულ მეთოდებთან ერთად შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა მეთოდებს და შეფასების კრიტერიუმებს“ ქმნის განცდას, რომ პროგრამებში აქ ჩამოთვლილი ყველა მეთოდი აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული, ამიტომ სასურველია გასწორდეს ფორმულირება.
10. თამარ ცოფურაშვილის აზრით, სწავლება-სწავლის მეთოდების ნაწილში მოცემული ფორმულირება „ფილოსოფიური მეთოდები: ჰერმენევტიკული მეთოდი, დიალექტიკური მეთოდი, ფენომენოლოგიური მეთოდი და სხვა“, რომელზეც წინა სხდომაზე კონსენსუსამდე ვერ მივიდა საბჭო, აუცილებლად ამოღებულ უნდა იქნეს ან შეიკვალოს, რადგან აღნიშნული წარმოადგენს ფილოსოფიის კვლევის მეთოდებს და არა სწავლება სწავლის მეთოდებს, თამარ ცხადაძის კრიტიკული კომენტარი საჯარო განხილვის დროს სწორედ ამ ნაწილს შეეხებოდა. აღნიშნული კვლევის მეთოდების შესახებ ასწავლიან სტუდენტებს, თუმცა არა თავად ამ მეთოდების გამოყენებით. აღნიშნულს კატეგორიულად არ დაეთანხმნენ ნინო თომაშვილი, მიხეილ გოგატიშვილი, დემურ ჯალაღონია და ლალი ზაქარაძე. მათი თქმით, ჩამოთლილთაგან რამდენიმე მეთოდს ისინი ნამდვილად იყენებენ სწავლებისას და ფორმულირება არ უნდა შეიკვალოს. თამარ ცოფურაშვილის თქმით, შესაძლებელია აღნიშნული ჩანაწერი ჩანაცვლდეს QAA-ს მიერ შემუშავებული ფილოსოფიის ინგლისურენოვანი სტანდარტის ფორმულირების მოდიფიცირებული ვარიანტით: „ფილოსოფიური განათლება საკუთარ თავში მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ფილოსოფიის ისტორიაში ინფორმაციის უბრალო წარმოდგენაა ფიგურებისა და მიღწევების შესახებ, ის გულისხმობს უახლესი ტექნიკების/მეთოდების შესწავლას ან ფილოსოფიურ საკითხებზე სტუდენტების მიერ სწორი პასუხების გაცემას ან კიდევ ამ პასუხებზე ალტერნატიული შესაძლო პასუხების გაცემას. მნიშვნელოვან ნაწილის ყველაფერი ამისას წარმოადგენს ფილოსოფიური მეთოდების, პრობლემების და

ტრადიციების ათვისება; და კიდევ ეს გულისხმობს - სტუდენტებისათვის ანალიტიკური, კრიტიკული, ინტერპრეტაციული და შეფასებითი უნარჩვევების განვითარებას სხვადასხვა(ფილოსოფიური იქნება ეს თუ ბანალური) პრობლემების, ისტორიული ტექსტების და საკითხების განაზრებისას. კურსები ფილოსოფიის ისტორიასა და პრობლემებში ისე უნდა იყოს დამუშავებული რომ ხელს უწყობდეს ამ ძალისხმევას; და ფილოსოფიის წარმატებული სწავლა სწავლება შეფასებული და განხილული უნდა იყოს შესაბამისად და არა სხვა დარგის (უფრო იოლად მიღწევადი) შედეგების თვალსაზრისებიდან გამომდინარე.“ რომლის თარგმანიც მიხეილ გოგატიშვილმა გაუგზავნა საბჭოს წევრებს სხდომის დაწყებამდე. დემურ ჯალაღონიას, ლალი ზაქარაძისა და ნინო თომაშვილის აზრით ამაზე უკვე იმსჯელა საბჭომ და ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, ისინი ეწინააღმდეგებიან მოცემული ფორმულირების შეცვლას. აღნიშნულთან დაკავშირებით თამარ ცოფურაშვილის აზრით, კომპრომისული ვარიანტი იქნება შეიცვალოს ქვეთავის სათაური და ნაცვლად „სწავლება-სწავლა შეფასებისა“ ეწეროს „ფილოსოფიის სწავლება-სწავლისა და კვლევის მეთოდები“. აღნიშნულს გამოეხმაურა კვალიფიკაციების სამსახურის უფროსი ქეთევან ფანჩულიძე, მისი თქმით აბსოლუტურად გასაგებია ორივე მხარის არგუმენტები მითითებულ საკითხზე, რადგან წევრები ვერ თანხმდებიან ფორმულირების კონვენციური ფორმატით ჩამოყალიბებაზე და შედარებით ზოგად ფორმულირებებზე შესაძლებელია სათაური ჩამოყალიბდეს თამარ ცოფურაშვილის შემოთავაზებული ფორმულირებით და საბჭოს სხვა წევრების მოსაზრებების გათვალისწინებით უცვლელი დარჩეს მეთოდების ჩამონათვალში არსებული ფორმულირება.

11. თამარ ცოფურაშვილის მოსაზრებით, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს ქვეთავში, „5.3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი“ მოცემული კვალიფიკაციების ფორმულირებები.
12. თამარ ცოფურაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების საკითხი დათქმით, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
13. ცენტრის წარმომადგენელმა ქეთევან ფანჩულიძემ მიმართა საბჭოს წევრებს. მისი თქმით, დოკუმენტის სტილისტურად და ტექნიკურად გასწორება მოხდება ცენტრის მხრიდან და გასწორებული ვარიანტი დაეგზავნებათ საბჭოს წევრებს, ამასთან მან სთხოვა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები და განესაზღვრათ ფილოსოფიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის ვადა. მიხეილ გოგატიშვილის მოსაზრებით, რადგან უსდ-ების უმრავლესობას ბოლო წლებში აქვს მიღებული ფილოსოფიის პროგრამების აკრედიტაცია შესაბამისობაში მოყვანის ვადად უნდა განისაზღვროს მინიმუმ 3 წელი. საკითხს გამოეხმაურა მაკა ლაშხიაძე. მისი თქმით, იგი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელიც, ამ დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე შესაბამისმა პროგრამებმა უნდა გაიარონ კლასტერული აკრედიტაცია და კლასტერული აკრედიტაციის პროცედურების

შესახებ უსდ-ებს ჯერ არ აქვთ ამომწურავი ინფორმაცია. ამიტომ მისი დაწესებულების პროგრამებს თუ აკრედიტაცია უწევთ 2022 წლის დეკემბერში 1.5 წელი მაინც არის საჭირო იმისთვის, რომ შესაბამისობაში მოიყვანონ საგანმანათლებლო პროგრამები ფილოსოფიის დარგობრივ მახასიათებელთან. შესაბამისად მას წარმოუდგენლად ეჩვენება, რომ მიღებული აკრედიტაციით პროგრამებისთვის განსაზღვრულ რეაკრედიტაციის ვადებამდე, დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამები. მისი თქმით, კლასტერული აკრედიტაციის პროცესში ყველაზე მეტად იჩაგრებიან დიდი უსდ-ები მაგ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლებსაც ჰუმანიტარული მიმართულებით 60-ზე მეტი პროგრამა აქვთ.

დაადგინეს

1. საბჭომ გაიზიარა ლალი ზაქარაძის წინადადება და პრეამბულა ცალკე ქვეთავად იქნა გატანილი.
2. დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფეროს აღწერის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ფილოსოფიური ცოდნის არე უაღრესად ფართოა და მისი ინტეგრირება შესაძლებელია ცოდნის ყველა დარგთან. ფილოსოფიაში - საუკუნეების განმავლობაში - დაგროვდა იმ ტიპის ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს სამყაროს, ღმერთის, ადამიანის, საზოგადოების და ღირებულებების შესახებ მყარი ფილოსოფიური და ინტერდისციპლინური დისკურსების კონსტრუირებას, რის შედეგადაც - ეპისტემოლოგიური და სხვა პრობლემების განცალკევების კვალდაკვალ - ფილოსოფიური ცოდნის სხვადასხვა მიმართულებებით აკუმულაცია მოხდა. ამ მიმართულებებმა თანდათანობით დამოუკიდებელი ცოდნის სახეც კი შეიძინა და ფილოსოფიური ცოდნის ძირითადი სტრუქტურა განაპირობა (ასე მაგალითად: მეტაფიზიკა/ონტოლოგია, ეპისტემოლოგია/გნოსეოლოგია, სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, ეთიკა, ესთეტიკა, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, აქსიოლოგია სამართლის ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია, ლოგიკა და სხვა).“
3. ბაკალავრიატის სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ავლენს ზოგად ცოდნას ფილოსოფიური ცნებებისა და კატეგორიების, ძირითადი ფილოსოფიური თეორიების, ფილოსოფიის ისტორიის, ფილოსოფიის დარგების, ძირითადი მიმართულებებისა და სკოლების შესახებ.“
4. ბაკალავრიატის სწავლის შედეგების უნარის კომპონენტში მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „დარგის სამეცნიერო სიახლეების გაცნობისთვის იყენებს საბიბლიოთეკო რესურსებს და ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს და აკადემიური

სტანდარტების დაცვით ქმნის ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.“

5. საბჭომ გაიზიარა თამარ ცოფურაშვილის მოსაზრება და ბაკალავრიატის სწავლის შედეგების პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპონენტი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: „მოქმედებს აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით; ავითარებს საკუთარ ცოდნას, უწყვეტი განათლების პრინციპის დაცვით.“
6. საბჭოს გადაწყვეტილებით, მაგისტრატურის საფეხურის ცოდნა-გაცნობიერების კომპონენტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ფილოსოფიის მიმართულებით სამაგისტრო საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტი ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას: ფილოსოფიის ძირითად სფეროებში; ისტორიული და აწმყო დებატების შესახებ ძირითადი ფილოსოფიური დარგებიდან; ფილოსოფიური ტრადიციის ფუნდამენტური ტექსტების შესახებ ანტიკურობისა და მოდერნის ეპოქიდან - თანამედროვეობამდე, ასევე მათ შესახებ არსებულ სამეცნიერო დისკუსიას; თანამედროვე ფილოსოფიური მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების, ფილოსოფიის დარგის აქტუალური პრობლემების, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივი მეთოდებისა და ტენდენციების, აკადემიური პატიოსნების წესებისა და აკადემიური ეთიკის საკითხების შესახებ; ავლენს ფილოსოფიაში დიალექტიკური და სხვა მეთოდების ცოდნას საკვლევი ჰიპოთეზის შესაძლო კონტარგუმენტების ფორმულირებით და მათი უარყოფით“. ამავე სწავლის კომპონენტის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „თანამედროვე ფილოსოფიური მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების, ფილოსოფიის დარგის აქტუალური პრობლემების, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივი მეთოდებისა და ტენდენციების შესახებ“.
7. საბჭომ გაიზიარა თამარ ცოფურაშვილის მოსაზრება და მაგისტრატურის საფეხურის უნარის კომპონენტის 1-ლი და მეორე პუნქტი მოდიფიცირდა შემდეგნაირად: „ახდენს ფილოსოფიურ რეფლექსიას თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე, უსადაგებს მათ სხვადასხვა თეორიებს და შეძენილ ფილოსოფიურ ცოდნას იყენებს სხვადასხვა კონტექსტების გასაანალიზებლად.“ მე-6 პუნქტი ფორმულირდა შემდეგნაირად: „სიღრმისეულად აანალიზებს და კვალიფიციურად განმარტავს ფილოსოფიურ თეორიას, სხვადასხვა თეორიების შეპირისპირების და ურთიერთკავშირის საფუძველზე.“
8. საბჭომ გაიზიარა თამარ ცოფურაშვილის მოსაზრება და მაგისტრატურის საფეხურის სწავლის შედეგების პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპონენტის ფორმულირება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას იცავს აკადემიური ეთიკის სტანდარტებს, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს ორიგინალურ მიდგომას.“
9. სწავლება-სწავლა შეფასების თავში, მე-5 აბზაცის ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

კურიკულუმი შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებსაც, რომლებიც არ არის მოხმობილი წინამდებარე დოკუმენტში.“

10. საბჭოს გადაწყვეტილებით, ქვეთავში „4. 1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები“ არსებული ქვეკომპონენტის ფორმულირება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„ ფილოსოფიის სწავლება-სწავლისა და კვლევის მეთოდები

- ფილოსოფიური მეთოდები: ჰერმენევტიკული მეთოდი, დიალექტიკური მეთოდი, ფენომენოლოგიური მეთოდი და სხვა;
- ტექსტზე მუშაობის მეთოდი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი და სინთეზი, აბსტრაქტირება;
- სოკრატული მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ევრისტიკული მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობა; დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- გუნდური მუშაობა;
- და სხვა.“

11. საბჭოს გადაწყვეტილებით, ქვეთავში „5.3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი“ კვალიფიკაციების ფორმულირება ჩამოყალიბდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად: „უმაღლესი განათლების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია – ფილოსოფიის ბაკალავრი ან ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში. უმაღლესი განათლების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია – ფილოსოფიის მაგისტრი ან ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ფილოსოფიაში.“

12. საბჭომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცა ფილოსოფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დათქმით, რომ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. დარგობრივი მახასიათებლის პროექტი ჩამოყალიბდა დანართი 1-ის შესაბამისად.

სხდომა დასრულდა 23:00-ზე.

საბჭოს თავმჯდომარე

თამარ ცოფურაშვილი



საბჭოს მდივანი

წინო თომაშვილი ნ. იმეჯიანი

დანართი 1

დანართი N3

ფილოსოფიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

პრეამბულა

ფილოსოფია ადამიანში კრიტიკულ მსოფლმხედველობას აყალიბებს. მასში ასახვას ჰპოვებს ადამიანის მიერ სამყაროსა და საკუთარი არსებობის საზრისის შემეცნების მცდელობები. მაშასადამე, ფილოსოფია არის სამყაროს შესახებ ადამიანის შეხედულებებისა და სამყაროში ადამიანის ადგილის შესახებ ცოდნის მომცველი სისტემა.

ფილოსოფიური აზროვნების, კვლევის და ცოდნის გადაცემის ტრადიციას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ფილოსოფიის ისტორიული და კომპარატივისტული კვლევების საფუძველზე გამოკვეთილია ქართული ფილოსოფიის განვითარების სპეციფიკა, მეთოდოლოგიური საფუძვლები, ფილოსოფიური აზროვნების დიდი ტრადიციების (ბერძნული, ქრისტიანული და საკუთრივ ქართული) ათვისების, გააზრების, გადააზრების, რეცეფციისა და ტრანსფორმაციის თავისებურებანი; ამ გზით ნათელი ხდება გარკვეული თეორიული მიზნების განხორციელების, უნივერსალური თეორიული კატეგორიების შექმნის პროცესი, განსხვავებული სააზროვნო ტრადიციების საერთო გამაერთიანებელი საწყისების მოძიება და კვლევა. ქართული ფილოსოფიის სისტემური ანალიზი უწყვეტ კავშირშია დარგის პირველსაწყისების და განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან და ცხადყოფს/ადასტურებს ფილოსოფიის გამაერთიანებელ, დამაკავშირებელ, მაინტეგრირებელ როლსა და ფუნქციას.

ფილოსოფიის ინტერესები გადაჯაჭვულია მის ისტორიასთან. მიუხედავად ფილოსოფიური საკითხების ისტორიულობისა, ისინი არასდროს კარგავენ აქტუალობას, მუდამ რეაქტუალიზაციას განიცდიან და ამით ეპოქათა კონტექსტებს ქმნიან.

I. შესავალი

ფილოსოფიის დარგობრივი მახასიათებელი შესაბამისი სფეროს აკადემიური განათლების სტანდარტის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საგანმანათლებლო პროგრამასთან აკავშირებს. ის ფილოსოფიის უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს განსაზღვრავს და ადგენს მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს.

ამ დოკუმენტის მიზანი ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფაა. მან ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების

დამაკმაყოფილებელი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას, სტუდენტთა მობილობასა და მათ პროფესიულ დასაქმებას. მისი მოქმედების ვადა 7 წლით განისაზღვრება.

დოკუმენტი უპირველეს ყოვლისა შექმნილია იმ პირთათვის, რომლებიც ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების და მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებასა და განხილვაში მონაწილეობენ. ფილოსოფიის დარგობრივი მახასიათებელი რეკომენდირებულია იმ აბიტურიენტების, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვისაც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გაეცნონ საკითხებს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ, რაც ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს ექნებათ.

დოკუმენტი შეიცავს ფილოსოფიის ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების აღწერას. ფილოსოფიის დარგობრივი მახასიათებლის განახლების საფუძველი შეიძლება გახდეს ადგილობრივ და საერთაშორისო რეგულაციებთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ფილოსოფიური ცოდნა

ფილოსოფიური ცოდნის არე უაღრესად ფართოა და მისი ინტეგრირება შესაძლებელია ცოდნის ყველა დარგთან. ფილოსოფიაში - საუკუნეების განმავლობაში - დაგროვდა იმ ტიპის ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს სამყაროს, ღმერთის, ადამიანის, საზოგადოების და ღირებულებების შესახებ მყარი ფილოსოფიური და ინტერდისციპლინური დისკურსების კონსტრუირებას, რის შედეგადაც - ეპისტემოლოგიური და სხვა პრობლემების განცალკევების კვალდაკვალ - ფილოსოფიური ცოდნის სხვადასხვა მიმართულებებით აკუმულაცია მოხდა. ამ მიმართულებებმა თანდათანობით დამოუკიდებელი ცოდნის სახეც კი შეიძინა და ფილოსოფიური ცოდნის ძირითადი სტრუქტურა განაპირობა (ასე მაგალითად: მეტაფიზიკა/ონტოლოგია, ეპისტემოლოგია/გნოსეოლოგია, სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, ეთიკა, ესთეტიკა, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, აქსიოლოგია სამართლის ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია, ლოგიკა და სხვა).

ფილოსოფიაში ჩამოყალიბდა ავტონომიური ცოდნის სისტემა, მეთოდები, სპეციფიკური ენა, კატეგორიები და ცნებითი აპარატი, რომლის საშუალებითაც ხდება ყოფიერებისა და სოციალური სამყაროს მრავალფეროვნებათა ასახვა.

ფილოსოფიურ ცოდნას არ აქვს მკვეთრად გამოკვეთილი საზღვრები. ფილოსოფიური აზროვნების აქტი ცალკეული მოაზროვნეების მიერ განცდილი სუბიექტური გამოცდილებაა. ამით ის განსხვავდება ცალკეული მეცნიერებებისგან. ამით არის განპირობებული ის, რომ ფილოსოფიური თეორიები ხშირად ეწინააღმდეგებიან და გამორიცხავენ კიდევ ერთმანეთს. ფილოსოფიური აზროვნების სპეციფიკას აზროვნებითი პლურალიზმი წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, რომ ის მისი აუცილებელი მოცემულობაა. ამიტომაც ფილოსოფიაში არ არსებობს კვლევითი მეთოდოლოგიის ერთიანი არსენალი, რომელიც გამოიყენება ყველა ფილოსოფიური პრობლემის ანალიზის დროს. აქედან გამომდინარე, ფილოსოფიისთვის დამახასიათებელია საკითხების იმგვარად დასმა, რომელიც აუცილებლად მოიცავს იდეათა კრიტიკულ ანალიზს, არსებული/ახლად წარმოქმნილი რეალობისთვის კონცეპტუალური მიდგომების ცვლილებას, ახალი ტერმინოლოგიურ-ცნებობრივი ლექსიკონის შექმნას, ფილოსოფიის დიდ წიგნებში ჩამოყალიბებული ცოდნის შენახვას, გადაცემასა და რევიზიას. ფილოსოფიის სწავლა უნდა ეფუძნებოდეს კვლევის და სწავლების ერთიანობას, პრობლემათა ღიაობასა და თანამედროვე სამყაროს გამოწვევების კრიტიკულ ანალიზს.

ფილოსოფია არის აზროვნების ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ფილოსოფიური ტრადიციის გამოწვლილვით შესწავლით მიიღწევა. ფილოსოფიის თემატური სპექტრი - თავად ფილოსოფიის ბუნებიდან გამომდინარე - მუდმივად განივრცობა ახალი იდეებისა და პრობლემების გამოკვეთის ფონზე. მიუხედავად ამისა, თვით ამ ახალი იდეებისა და პრობლემების გაშუქების დროს აუცილებელია ფილოსოფიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცი(ებ)ის გათვალისწინება, რაც ასევე მისი ბუნებიდან გამომდინარეობს.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს იმ მინიმალურ კომპეტენციებს რომლებიც უნდა ჰქონდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულს.

დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიცავს მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს. უსდ-ს შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია სწავლის შედეგები სამ კატეგორიად (ცოდნა-გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) დაყოფის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. ფილოსოფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

3.1.1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ავლენს ზოგად ცოდნას ფილოსოფიური ცნებებისა და კატეგორიების, ძირითადი ფილოსოფიური თეორიების, ფილოსოფიის ისტორიის, ფილოსოფიის დარგების, ძირითადი მიმართულებებისა და სკოლების შესახებ;
- იცნობს ფუნდამენტურ ფილოსოფიურ შრომებს.

3.1.2. უნარი

კურსდამთავრებული:

- აანალიზებს ფილოსოფიურ თეორიებს, განასხვავებს ფილოსოფიურ მეთოდებს, რომლებსაც ფილოსოფიური თეორიები ემყარება;
- გადმოსცემს ფილოსოფიურ იდეებს წერილობითი და ზეპირი ფორმით;
- ფილოსოფიურ საკითხებთან მიმართებით აგებს ლოგიკურ და კომპლექსურ მსჯელობას დარგში არსებული ძირითადი დებატებისა და არგუმენტების გამოყენებით;
- სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას ეფექტურად იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- დარგის სამეცნიერო სიახლეების გაცნობისთვის იყენებს საბიბლიოთეკო რესურსებს და ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს და აკადემიური სტანდარტების დაცვით ქმნის ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

3.1.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- მოქმედებს აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით;
- ავითარებს საკუთარ ცოდნას, უწყვეტი განათლების პრინციპის დაცვით.

3.2. ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

3.2.1. ცოდნა და გაცნობიერება

ფილოსოფიის მიმართულებით სამაგისტრო საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებული ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას:

- ფილოსოფიის ძირითად სფეროებში;
- პროგრამის პროფილიდან გამომდინარე, ძირითადი ფილოსოფიური დარგებიდან ისტორიული და აწმყო დებატების შესახებ;
- პროგრამის პროფილის შესაბამისად, ფილოსოფიური ტრადიციის ფუნდამენტური ტექსტების შესახებ ანტიკურობისა და მოდერნის ეპოქიდან - თანამედროვეობამდე, მათ შესახებ არსებული სამეცნიერო დისკუსიის ჩათვლით;
- თანამედროვე ფილოსოფიური მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების, ფილოსოფიის დარგის აქტუალური პრობლემების, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივი მეთოდებისა და ტენდენციების შესახებ;
- ფილოსოფიაში დარგობრივი მეთოდების მეშვეობით საკვლევი ჰიპოთეზის შესაძლო კონტრარგუმენტების ფორმულირებით და მათი უარყოფით;

3.2.2. უნარი

ფილოსოფიის მიმართულებით სამაგისტრო საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებული:

- ახდენს ფილოსოფიურ რეფლექსიას თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე, უსადაგებს მათ სხვადასხვა თეორიებს და შეძენილ ფილოსოფიურ ცოდნას იყენებს სხვადასხვა კონტექსტების გასაანალიზებლად.

- მოსაზრებებს აყალიბებს არგუმენტირებულად, გამართულად და თანმიმდევრულად, ავლენს ღიაობას კრიტიკისა და ოპონირებისადმი;
- კრიტიკულად და სიღრმისეულად იაზრებს ფილოსოფიურ ტექსტებს, ახდენს მათ ინტერპრეტაციას, აყალიბებს საკუთარ შეხედულებას ფილოსოფიურ საკითხებზე და მათი დაცვისას ითვალისწინებს არგუმენტებს და კონტრარგუმენტებს;
- დამოუკიდებლად ახდენს საკვლევი პრობლემატიკის იდენტიფიცირებას, კვლევის პროცესში ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებს საბიბლიოთეკო რესურსებს და ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს, კვლევის განხორციელებისას ეფუძნება რელევანტურ და თანამედროვე მეთოდოლოგიებს კვლევის შედეგების ობიექტურად და თანმიმდევრულად გადმოცემისთვის;
- აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციისას იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს;
- სიღრმისეულად აანალიზებს და კვალიფიციურად განმარტავს ფილოსოფიურ თეორიას, სხვადასხვა თეორიების შეპირისპირების და ურთიერთკავშირის საფუძველზე;

3.2.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ფილოსოფიის მიმართულებით სამაგისტრო საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებული:

- სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას იცავს აკადემიური ეთიკის სტანდარტებს, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს ორიგინალურ მიდგომას.

IV. სწავლება, სწავლა შეფასება

ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების იმ მეთოდებს უნდა ემყარებოდეს, რომელიც სტუდენტს დაეხმარება პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის მიღებასა და პროფესიის დაუფლებაში. ეს მეთოდები, ამავე დროს, უნდა ემსახურებოდეს სტუდენტის სააზროვნო უნარების განვითარებას, აზროვნების კულტურის ამაღლებას, რაც გულისხმობს აზრის სიცხადესა და კორექტულობას, ბჭობის/მსჯელობის თანმიმდევრულობასა და თავსებადობას, მიღებული ცოდნის კრიტიკულ გააზრებას.

საბაკალავრო საფეხურის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს:

- სტუდენტისათვის ფილოსოფიაში ისტორიულად დაგროვილი ცოდნის მიწოდებასა და გაანალიზებას;
- ფილოსოფიური პრობლემების გაცნობას და სტუდენტის მიერ მათი გააზრების ხელშეწყობას.

სამაგისტრო საფეხურის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს:

- პრობლემის გარშემო დამოუკიდებელ თეორიულ კვლევას

შეუძლებელია სწავლის აბსოლუტურად ყველა შედეგის გაზომვა შეფასების სისტემის მეშვეობით. თუმცა ფილოსოფიის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტთა შეფასების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს სწავლის შედეგების შეფასებას სწავლების საფეხურის შესაბამისი კომპონენტებით; სტუდენტის სწავლის გაზომვადი შედეგების შეფასება უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებსაც, რომლებიც არ არის მოხმობილი წინამდებარე დოკუმენტში.

4. 1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსსა და მოდულში უნდა აღიწეროს კურსის მიზნის მისაღწევი მეთოდები. სწავლების მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს აკადემიური განათლების შესაბამის საფეხურისთვის განსაზღვრულ ცოდნის დონეს.

სწავლების მეთოდი უნდა შეირჩეს სასწავლო კურსის სპეციფიკის - მისი მიზნისა და მისაღები შედეგის გათვალისწინებით. ფილოსოფიის სწავლების მეთოდი ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტს შემენილი ცოდნის საფუძველზე გააცნობიეროს ფილოსოფიური პრობლემები და დამოუკიდებლად გაიაზროს მათი პერსპექტივები, რაც განავითარებს კიდევ მის დარგობრივ კომპეტენციებს.

ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოიყენებოდეს სწავლება-სწავლის ისეთი ფორმები, როგორებიცაა:

- ა) ლექცია;
- ბ) სემინარი/პრაქტიკული მუშაობა;

- გ) ელექტრონული სწავლება;
- დ) ელექტრონული რესურსებით სწავლება;
- ე) და სხვა.

ფილოსოფიის სწავლება-სწავლისა და კვლევის მეთოდები

- ფილოსოფიური მეთოდები: ჰერმენევტიკული მეთოდი, დიალექტიკური მეთოდი, ფენომენოლოგიური მეთოდი და სხვა;
- ტექსტზე მუშაობის მეთოდი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი და სინთეზი, აბსტრაქტიზაცია;
- სოკრატული მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ევრისტიკული მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობა; დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- გუნდური მუშაობა;
- და სხვა.

4.2. სტუდენტის შეფასება

ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტი უნდა შეფასდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშებისა და შეფასების სისტემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3-ით განსაზღვრული სისტემის შესაბამისად.

4.3. შეფასების მეთოდები

ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით, მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოცდა;
- წერიტი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერიტი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- პრეზენტაცია;
- კვლევითი ნაშრომის/პროექტის მომზადება;
- ესსე;
- რეფერატი;
- მოხსენება;
- ჯგუფური პროექტის შესრულება;
- დისკუსია-დებატებში მონაწილეობა;
- სხვა.

4.4. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სასწავლო პროცესში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შედეგად აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარება.

ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარება უნდა მიმდინარეობდეს სწავლის პირველი ეტაპიდანვე იმ თეორიული კურსების ათვისებასთან ერთად, რაც გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამით. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება სასწავლო საფეხურისთვის შესაბამისი პრაქტიკული მეცადინეობების მოდელით უნდა განხორციელდეს, რომელიც სტუდენტს უვითარებს შემდეგ ტრანსფერულ უნარებს: მოვლენათა თანმიმდევრული ანალიზი, სინთეზი, კრიტიკული აზროვნება, დისკუსია და ა.შ.

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაში სტუდენტს პრაქტიკული აქტივობების განხორციელების პროცესში ენიჭება მეტი დამოუკიდებლობა, ვიდრე ბაკალავრიატში, რაც ხელს უწყობს და ნაყოფიერს ხდის მისი თეორიული ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერს პრაქტიკაში. სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კურსის შინაარსთან შესაბამისი პრაქტიკული აქტივობები ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ამ პროცესში მას შეუძლია ითანამშრომლოს საკვლევი თემის შესაბამისი ინტერესების მქონე ორგანიზაციებთან.

4.5. სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება

ფილოსოფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს კვლევაზე. პროგრამის მოდელი თანმიმდევრულად უნდა ავითარებდეს სტუდენტებში მეცნიერული კვლევის უნარებს, რაც საბოლოოდ გამოვლინდება სტუდენტის მიერ შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომში.

სამაგისტრო პროგრამაში ეტაპობრივად უნდა დაიგეგმოს სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ხელმძღვანელთან მისი პერიოდული ურთიერთობა. ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს გააცნობიეროს კვლევის კონტექსტი საკვლევი საკითხისადმი შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომებით. ამისთვის იგი ატარებს პრაქტიკულ ვორკშოპებს, ხელმძღვანელობს სტუდენტის მიერ კვლევისთვის მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის პროცესს.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში სტუდენტი ეცნობა და ამუშავებს ლიტერატურას. პარალელურად, შესაბამისი მეცნიერული კვლევის მეთოდებით ქმნის აკადემიური სტანდარტების შესაბამის ნაშრომს, რომლის განხილვისას ეცნობა რეცენზენტების კომენტარებს და შენიშვნებს და არგუმენტირებულად პასუხობს მიღებულ უკუკავშირს.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. აკადემიური პერსონალი

ფილოსოფიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უნდა უზრუნველყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე შესაძლებელია სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ფილოსოფიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და განვითარებას, სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას.

5.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ფილოსოფიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უსდ-ში უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტთა შესაბამისი რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

- სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ფართი და ინვენტარი;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა და საკომუნკაციო სისტემები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი;
- ფილოსოფიის დარგში არსებული საბიბლიოთეკო რესურსები ელექტრონული სამეცნიერო ბაზები;
- შესაბამისი სასწავლო მასალები;
- სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების სწავლება-სწავლისა და კვლევის სათანადოდ განხორციელებას.

5.3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

- უმაღლესი განათლების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია – ფილოსოფიის ბაკალავრი ან ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში.
- უმაღლესი განათლების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია – ფილოსოფიის მაგისტრი ან ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ფილოსოფიაში;

5.4. დასაქმების პერსპექტივა

ფილოსოფიის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს განათლების სფეროში, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით; კერძო და საჯარო სფეროში, სახელმწიფო, თვითმართველობის ორგანოებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ და კომერციულ სტრუქტურებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში (ინსტიტუტებში, არქივებში), ანალიტიკურ-კვლევით ჯგუფებში, განათლების/მეცნიერული უზრუნველყოფის მართვის ცენტრებში/ორგანოებში; პროფესიული განათლების შესაბამის

ექსპერტ-კონსულტანტებად, კულტურულ და სოციალურ დაწესებულებებში გამომცემლობებსა და მედია საშუალებებში და სხვა.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	თამარ ცოფურაშვილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი. სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი
2.	ნინო თომაშვილი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოსოფიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი
3.	ლალი ზაქარაძე	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი
4.	ქეთევან ცხვარიაშვილი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოსოფიის დოქტორი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი
5.	დემური ჯალაღონია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოსოფიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი
6.	მაკა ლაშხია	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; მეცნიერებათა და ხელოვნების

			ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
7.	მიხეილ გოგატიშვილი	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი
8.	თეიმურაზ ბუაძე	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ა(ა)იპ თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი